<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 164[1] მუხლის შენიშვნის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ შესაბამისი თანხის ოდენობა (გარიგების ღირებულება) არ აღემატება 100 ლარს, სასჯელის სახედ გამოიყენება ჯარიმა.“.

2. 362-ე მუხლის შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებულ მხარდამჭერთა სიებში შესაბამის ბლანკზე დატანილი მონაცემებისა თუ ინფორმაციის, საკუთარი და ასევე მხარდამჭერი პირის ხელმოწერის გაყალბებისათვის გამოიყენება მხოლოდ ჯარიმა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**